ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის აპრილის 15.	№ 7 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველ- ლობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 73. ორდენებით დაჯილდოებული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის შესახებ.

„ 74. მშრომელთა მიერ საცხოვრებელი ფართობის გაცვლის შესახებ.

„ 75. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის შევსების შესახებ წარმოებიდან სამი მუშითა და დიდრონ საწარმოთაგან შრომის დირეკტორების ორი თანაშემწით.

„ 76. შრომის არტელების რეორგანიზაციის შესახებ.

„ 77. იურიდიულ პირთა წესდებების სავალდებულო გამოქვეყნების გაუქმების შესახებ.

„ 78. „ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღთა სარგებლობის პრინციპების დებულების“ დამატების შესახებ.

„ 79. „სპეციალური საგზაო ფონდების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-II კარის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 80. გეოქიმიის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების თაობაზე წარმოდგენილი მოხსენების შესახებ.

„ 81. „სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს გამგებლობაში ქონებული სადგომებიდან უცხო პირთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

„ 82. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურულ განყოფილებათა გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 83. კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაფინანსების შესახებ.
„ 84. სადგომებში დაწესებულებათა მომთავსებელი და კ. ტფილისში მყოფ დაწესებულებებთან სამუშაოდ მოსულ მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამომძებნი კომისიის მოწყობის შესახებ.
„ 85. ა/კსფსრ სახელ-საწონთა პალატის გაუქმების შესახებ.
„ 86. „შრომითის საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების“ შეფარდებისათვის 1930 წ. დეკემბრის 25-ის თარიღით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქციის 26 და 37 მუხლის შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

„ 87. „საბჭოთა სამეცხოველეო მეურნეობების თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებისა და „1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილების შესრულების მსვლელობის შესახებ.
„ 88. „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსების ინვენტარიზაციის შესახები“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 7-ისა და 1931 წ. იანვრის 10-ის დადგენილებების შესრულების მსვლელობის თაობაზე.
„ 89. „ჭალაჭების საგარეთუბნო მეურნეობათა საბოსტნე თესლის შესახები“ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივების შესრულების თაობაზე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. ორდენებით დაჯილდოებული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის პირნი, რომელნიც დაჯილდოებულ არიან სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ერთი ან რამდენიმე ორდენით, მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან იმ სახლში, სადაც ბინის ქირა ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაკვეთების მიხედვით იხდეენება, 10-დან 50-დე პროცენტის მონაკლებით.

მონაკლების რაოდენობას, ორდენებით დაჯილდოებულთა შემოსავლის მიხედვით, განსაზღვრავენ ადგილობრივი საბჭოები. ხელმეტი საცხოვრებელა ფართობისა და დამატებითი ფართობის ქირას დაჯილდოებულნი იხდიან ერთჯერადი რაოდენობით.

2. დაჯილდოებულთა სიკვდილის შემდეგ ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ერცელდება მათ ოჯახებზე: მეუღლეებზე, არასრულწლოვან შვილებზე და გარდაცვალებულის რჩენაზე მყოფ შრომისუუნარო პირებზე.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 109 №-ში 1931 წ. აპრილის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

74. მშრომელთა მიერ საცხოვრებელი ფართობის გაცვლის შესახებ.

„საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ბ" პუნქტის განსავითარებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) ამიერკავკასიის ცნტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნება დაერთოს ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული სახლების სამოურაოთ (მათ შორის საოჯარო-საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ ოჯარით აღებული სახლებისა), აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებისა—კომუნალური ფონდის ფარგლებში, სადაოდ გამოაცხადონ მშრომელთა მიერ ერთმანეთისათვის საცხოვრებელი ფართობის გაცვლის უფლება, სასამართლოში სარჩელის აღძვრით ამ გაცვლის აკრძალვის შესახებ, ისეთ შემთხვევაში:

ა) როდესაც გაცვლას სპეკულატური ხასიათი აქვს;

ბ) როდესაც კომუნალური ფონდის ნორმა შევსებულია (კერძო მფლობელობის სახლებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 112 №-ში 1931 წ. აპრილის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

75. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის შევსების შასახებ წარმოებიდან სამი მუშითა და დიდრონ საწარმოთაგან შრომის დირექტორების ორი თანაშემწით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობა შევსებულ იქნეს სამი მუშითა წარმოებიდან და შრომის დირექტორების ორი თანაშემწით დიდრონ საწარმოთაგან.

2. ამისდაშესაბამისად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-ი, მუხ. 202 და 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 81) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოიწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით, და 15 წევრი: ხუთი—ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან, ორი—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან, ერთი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან, ერთი—გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისაგან ა/კსფსრ-ში, ერთი—

საერთო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ-ბის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისაგან, სამი მუშა—წარმოებიდან და ორი დიდრონ საწარმოთა შრომის დირექტორების თანაშემწეთაგან.

საბჭოს წევრებს დანიშნავენ სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი იმ პირობით, უკეთუ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი საწინააღმდეგოს არას განაცხადებს ამა თუ იმ კანდიდატურის თაობაზე.

საბჭოს შედგენილობაში წარმოებიდან მუშებისა და დიდრონ საწარმოთა-გან შრომის დირექტორების თანაშემწეების გამოყცფის წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა 1. წესი და რიგი თვითეული რესპუბლიკანური ჯანმრთელოაის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობისა საბჭოში—ყველა მათი საერთო წარმომადგენლის სახით—დამყარდება თვით რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით.

შენიშვნა 2. იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე რესპუალიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სამს წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი მორიგ წევრად ითვლება საბჭოში, ორი დანარჩენი წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 116 №-ში 1931 წ. აპრილის 28-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

76. შრომის არტელების რეორგანიზაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის არტელები რეორგანიზებულ იქნენ სარეწაო-კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად), სარეწაო კოოპერაციის საერთო სისტემაში ჩარიცხვით, და გავრცელდეს მათზე კანონმდებლობა სარეწაო კოოპერაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შრომის არტელების სარეწაო-კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად) რეორგანიზება ისეთი ვარაუდით უნდა სწარმოებდეს, რომ ხელი არ შეშალოს შრომის არტელების მიერ ნაკისრებ სამუშაოთა თავის დროზე შესრულებას.

3. შრომის არტელების სარეწაო-კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად) რეორგანიზაციის ვადას და წესს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობანი.

4. წინადადება ეძლევათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა—შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

5. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 9-ის დადგენილება „შრომის არტელების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 227).

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 111 №-ში 1931 წ. აპრილის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

77. იურიდიულ პირთა წესდებების სავალდებულო გამოქვეყნების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახები“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. იანვრის 5-ის დადგენილების მე-8 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 327; 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 595) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხ. 8. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცებული იურიდიულ პირთა წესდებების გამოქვეყნება საჯაღდებულო არ არის.

იმ იურიდიულ პირთა წესდებები, რომელთაც, არსებული წესისამებრ, საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება აქვთ, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს აუცილებლად საუწყებო გამოცემებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული იურიდიულ პირთა წესდებები გამოქვეყნდება ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“.

2. გაუქმებულ იქნეს მე-10 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ის დადგენილებისა „საჟკეთო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37).

3. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1931 წლის იანვრის 1-დან.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. ხულთაშოვი.**

1931 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 112 №-ში 1931 წ. აპრილის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

78. „ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიალთა სარგებლობის პრინციპების დებულების“ დამატების შესახებ.

„სამთო დებულების შეცვლის შესახებ“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. მე-4)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. „ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღთა სარგებლობის პრინციპების დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 47) დაემატოს 21¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„21¹. სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიანთ მიანდონ მშრომელთ და მათ შენაერთებს ძიებლობის წარმოება, დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, პრემიალური გასამრჯელოს მიცემით. ასეთი ძიებლობის წარმოების წესი განსაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესები, რაც გამოიცემა სამთო დებულების 50 მუხლის შენიშვნის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4)“.

II. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუალიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ სამთო კანონმდებლობაში ცვლილებანი, რაც უზრუნველჰყოფს პრემიალური გასამრჯელოს პირობებზე ძებნისა და ძიებლობის წარმოების ყოველმხრივ განვითარებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1930 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 111 №-ში 1931 წ. აპრილის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

79. „სპეციალური საგზაო ფონდების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-II კარის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სპეციალური საგზაო ფონდების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის 6-ის დადგენილების მე-II კარის „ა“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 14) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების მიხედვით მოსაწყობი სპეციალური საგზაო ფონდების აღნუსხვისა, შენახვისა და ხარჯვის წესის შესახებ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931. წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 109 №-ში 1931 წ. აპრილის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

80. გეოქჩაის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების თაობაზე წარმოდგენილი მოხსენების შესახებ.

მოისმინა-რა მოხსენება გეოქჩაის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და თანამოხსენება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორისა,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სთვლის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, საერთოდ, დამაკმაყოფილებელად და თანაც აღნიშნავს, რომ გეოქჩაის რაიონს აქვს მთელი რიგი უეჭველი მიღწევანი, რომელთა შორის ძირითადია:

1. ხორცეულის დამზადების საკვარტალო გეგმის გადამეტებით შესრულება.

2. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმის გადამეტებით შესრულება.

3. წარსული კვარტალის მარცხთა ლიკვიდაცია ფულადი სახსარის მობილიზაციის სფეროში და ამა წლის პირველ კვარტალში საკონტროლო დავალებათა გადამეტებით შესრულება.

4. ზამთრისპირული ხვნის გეგმის გადამეტებით შესრულება.

5. სხვადასხვა მარცვლეული კულტურების გამოდევნა ტეხნიკური კულტურებისათვის და ბამბით ნათესი ფართობის 54%-ით გადიდება წარსული წლის ფართობთან შედარებით.

6. კოლექტივიზაციით რაიონის სასოფლო მეურნეობათა საერთო რიცხვის 45%-დე მოცვა და სხვ.

ხოლო, აღნიშნულ მიღწევებთან ერთად, რაიონის სამეურნეო-პოლიტიკური მოქმედების ამა თუ იმ ნაწილში თავი იჩინა მთელმა რიგმა ნაკლულოვანებამ და მათ შორის საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

ა) სასოფლო საბჭოების დიდი უმეტესობა ტერიტორიალურად მოწყვეტილია სარაიონო კენტრისაგან (შესრულებული არ არის აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ქალაქ გეოქჩაიდან კენტრის სოფ. უჯარაში გადატანის შესახებ);

ბ) მასსური მუშაობის საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებელად არის დაყენებული: სასოფლო საბჭოების სექციების მუშაობა სულაც არ არის გაშლილი; სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან სექციები მოწყობილი არ არის; საწარმოო თათბირები მოწყობილია მხოლოდ ზოგიერთ სოფელში; საკმარისი ყურადღება არ არის მიქცეული ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციისათვის და სხვ.;

გ) რაიონი საკმარისად არ არის დაკომპლექტებული მომუშავეთა საჭირო კადრებით (საადგილმამულო განყოფილების გამგე, მასსური მუშაობის ორგანიზაციის ინსტრუქტორი, ვაჭრობის ინსპექტორი, მგეგმავი და სხვ.);

დ) რაიონი უზრუნველყოფილი არ არის მასწავლებელთა კადრებით, როგორც რიცხობრივ, ისე თვისებრივ, აგრეთვე ქოხ-სამკითხველიებით და წითელი კუთხეებით (101 სოფელზე სულ 8 ქოხ-სამკითხველია);

ე) სრულიად უმნიშვნელოა მოსახლეობისათვის სამკურნალო მომსახურეობის გაწევა;

ვ) არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შარა-გზები; თითქმის სრულიად არ არსებობს სატელეფონო კავშირგაბმულობა სასოფლო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შორის; მოსახლეობას ფოსტა სუსტად უწევს მომსახურეობას; სოფლის რადიოფიკაცია სრულიად არ არის;

ზ) რაიონი უზრუნველყოფილი არ არის მოანგარიშე-მომუშავეებით სასოფლო საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადასაყვანად;

თ) მთლად რაიონში კულაკურ-შეძლებული მეურნეობანი საკმარისად არ არიან გამოშკარავებულნი (1,5%-ი—შედარებით 9.110 მეურნეობასთან);

ი) არასაკმარისი გარკვეულობით არის გატარებული კლასობრივი ხაზი რევოლიუციონური კანონიერების ორგანოების პრაქტიკაში და არ არსებობს ხელმძღვანელობა სასოფლო სასამართლოების მიმართ;

კ) სარაიონო ორგანიზაციები არასაკმარის ხელმძღვანელობას უწევენ ძველ კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციულად განმტკიცების საქმეს და ვერ იჩენენ უნარს—სათავეში ჩაუდგენ და ხელმძღვანლობა გაუწიონ საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ ძლიერ ნაკადს; ამის გამო კოლექტივიზაციის პროცესში სჩანს ერთის მხრით თვითმდინარეობა—(ჩატარებული არ არის მოსამზადებელი სააგიტაციო მუშაობა; არა სწარმოებდა კოლექტიურ მეურნეობათა სოციალური ფენების აღნუსხვა, რის გამოც კულაკები საშუალო გლეხებად არიან გადაქცეულნი, ხოლო საშუალო გლეხები ღარიბ გლეხებად; ახლად მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა უმეტესობა გაფორმებული არ არის წესდებებით), ხოლო მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს მხრით—ადმინისტრირება (ყარაბერის სასოფლო საბჭო—ღარიბითვის უფლების ჩამორთმევა და სხვ.);

ლ) საკმარისი ხელმძღვანელობა არ აქვს გაწეული ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებისა და დატვირთვის საქმეს (მუშაობენ 10 საათს); ტრაქტორები უზრუნველყოფილი არ არიან მესაჭეებით ორცვლად მუშაობაზე (20 საათი) გადასვლისათვის; სამანქანო-სატრაქტორო-სადგურში სრულიად არ არსებობს ინვენტარიზაცია; არ არსებობს აგრეთვე საწარმოო საბჭო; კოლექტიური მეურნეობანი თავის დროზე არ მარაგდებიან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით;

მ) ნათესი ფართობის ცალკეული ნაკვეთები რაციონალურად არ არის განაწილებული წყლის რესსურსების გამოყენების მოთხოვნათა და პირობათა მიხედვით.

ამავე დროს აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური ორგანიზაციები (აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზეციო განყოფილება, აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, აზერბაიჯანის სსრ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი, პამბუკბირლიგი და ტრაქტორცენტრი) საკმარის ინსტრუქტირებას არ უწევენ რაიონს.

მოპოვებულ მიღწევათა განსამტკიცებლად და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შემდგომი მუშაობის განსავითარებლად—სახალხო მეურნეობის გაძლიერებისა, მშრომელი ელემენტების სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა უზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესებისა და საბჭოთა მუშაობაში სოფლის აქტივის უფრო მეტად ჩაბმის მიზნით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აზარბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს იხმაროს ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად, კერძოდ:

ა) უზრუნველჰყოს მეორე კვარტალის განმავლობაში სარაიონო ცენტრის ქალ. გეოქჩაიდან სოფ. უჯარაში გადატანა;

ბ) უზრუნველჰყოს უახლოეს დროის განმავლობაში სოფლის გზების მდგომარეობის სათანადოდ გაუმჯობესებაში;

გ) წინადადება მისცეს აზერბაიჯანის სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველჰყონ მეორე კვარტალის განმავლობაში ყველა სასოფლო საბჭო ქოხ-სამკითხველოებით და აგრეთვე გააძლიერონ რიცხვობრივად და თვისებრივად მასწავლებელთა შედგენილობა საპერო ნორმამდე;

დ) დაავალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—იხმაროს ღონისძიება მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარების გასაძლიერებლად, ისეთი ვარაუდით, რომ 1931 წლის განმავლობაში ყველა სასოფლო საბჭო უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო პუნქტით და, ამის გარდა, ააშენოს სოფ. უჯარაში ერთი საავადმყოფო;

ე) უზრუნველჰყოს რაიონის დაკომპლექტება დანაკლისი საშტატო ერთეულებით; ამასთანავე, გითვალისწინოს, კერძოდ, შტატში ორი ინსტრუქტორი საორგანიზაციო მასსური მუშაობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დაავალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—მოაგვაროს და გააძლიეროს მასსური მუშაობა სექციების მუშაობის გაეცოცხლებით, სექციებისათვის სასოფლო საბჭოებისა და სოფლის აქტივის ყველა წევრის მიმაგრებით, განსაკუთრებით კოლექტიურ მეურნეთაგან, ღარიბთაგან, მოჯამაგირეთაგან, ქალთაგან და სოფლის მასწავლებელთაგან; აგრეთვე გაძლიეროს მუშაობა ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციისათვის და სხვ.;

ზ) ერთი დეკადის ვადაზე განამტკიცოს ხელმძღვანელობის გაწევა სარაიონო საფინანსო განყოფილებისათვის და იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა გამოასაშკარავებლად და მათთვის მტკიცე დავალებათა მისაცემად საჭირო მუშაობის გასაძლიერებლად;

თ) უზრუნველჰყოს არა ნაკლებ, ვიდრე 12 სასოფლო საბჭო, მოანგარიშე-მომუშავეთა საქირო რიცხვით—ამ საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადასაყვანად მეორე კვარტალის განმავლობაში;

ი) მოაწყოს სარაიონო პროკურატურა, რომელსაც წინადადება მისცეს—გაძლიეროს ზედამხედველობა კულაკურ მეურნეობათა გამოაშკარავებისა და სოფლად გარკვეული კლასობრივი ხაზის გატარებისათვის; გაძლიეროს ხელმღვანელობის გაწევა სასოფლო სასამართლოებისათვის, რისთვისაც პრაქტიკაში შემოღებულ უნდა იქნეს სასამართლოების ინსტრუქტირება და სასოფლო სასამართლოების თავჯდომარეთა პერიოდული თათბირების გამართვა;

კ) განამტკიცოს ხელმძღვანელობის გაწევა სარაიონო საადგილმამულო განყოფილებისათვის და სარაიონო კოლექტიურ მეურნეობათა კავშირისათვის; უზრუნველჰყოს საბჭოთა საზოგადობრიობის მობილიზაცია კოლექტივიზაციისა, საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხების გარშემო; დაუყოვნებლივ გამოასწოროს კოლექტივიზაციის პროცესში ჩადენილი შეცდომანი და უღმობელად გამოაშკარაოს მემარჯვენე-ოპორტუნისტული ტაქტიკა და „მემარცხენე“ განხრები; ორი დეკადის ვადაზე დაამთავროს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების ორგანიზაცია ყველა კოლექტიურ მეურნეობაში მე-XVI პარტიული ყრილობის დირექტივების საფუძველზე;

ლ) სამხქანო-სატრაქტორო სადგურჰა და კოლექტიურ მეურნეობათა კავშირმა უნდა მოაგვარონ კოლექტიურ მეურნეობებში ანგარიშწარმოება და მრაწყონ შრომის აღნუსხვა და განაწილება; თანაც უზრუნველჰყოფილ უნდა იქნეს აპრილის 15-თვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ნაკრობით მუშაობაზე გადაყვანა და ეს მუშაობა უნდა შეფასდეს შრომა-დღეების მიხედვით; აგრეთვე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა ქონებული ტრაქტორის მოცულად მუშაობაზე (20 საათი) გადაყვანა, რისთვისაც ეხლავე უნდა შეუდგნენ მესაჭეთა სათანადო კადრების მომზადებას; ერთი დეკადის ვადაზე გაფორმებულ იქნეს სამხქანო-სატრაქტორო სადგურის ინვენტარიზაცია და ტრაქტორების დაწყვილებულ სვლაზე გადაყვანა; დაუყოვნებლივ მოეწყოს საწარმოო საბჭო სამხქანო-სატრაქტორო სადგურთან;

მ) უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატიური ცოცხალი ინსტრუქტაჟი როგორც აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზა-

ციო განყოფილებისა, ისე აზერბაიჯანის სსრ-ის სხვა ცენტრალური ორგანიზაციების მხრით.

2. მიენდოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს— 1931 წლის განმავლობაში რაიონის საფოსტო ფარგალი გაადიდოს 25 კილომეტრამდე; იხმაროს ღონისძიება, რათა მეორე კვარტალის განმავლობაში ყველა სასოფლო საბჭო უზრუნველყოფილ იქნეს ტელეფონის ქსელით, კერძოდ გამოიყენოს ქალ. გეკოჩაის ტელეფონიზაციისათვის დანიშნული ტეხნიკური და მატერიალური საშუალებანი; უზრუნველჰყოს მეორე კვარტალის განმავლობაში სასოფლო საბჭოების რადიოფიკაცია გეგმით გათვალისწინებული 150 რადიო-წერტილთ.

3. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში შემოიტანოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში მოხსენება, რომელშიაც აღნიშნოს ამა დადგენილების რეალიზაციისთვის განხორციელებული ღონისძიებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 11.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 106 №-ში 1931 წ. აპრილის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

81. „სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს გამგებლობაში ქონებული სადგომებიდან უცხო პირთა გამოსახლების თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

„ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომებიდან ტრანსპორტისათვის უცხო პირთა გამოსახლეობისა და ტრანსპორტის მომუშავეთა გადასახლების შესახებ" გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 110) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ძალდაკარგულად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ის დადგენილება „სსრკ-ის გზათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს გამგებლობაში ქონებული სადგომებიდან უცხო პირთა გამოსახლების შესახებ“ (აკსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 360 და მე-10 №-ი, მუხ. 521).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციასთან შეთანხმებითი, დაადგინოს, ერთი დეკადის ვადაზე, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1931 წ. თებერვლის 13-ის, დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, იმ შშრომელთა ნუსხა, რომელთაც გამოსახლებისას უნდა მიეცეს სხვა საცხოვრებელი ფართობი.

3. წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს რწმუნებულს ა/კსფსრ-ში გააუქმოს მის მიერ წინად გამოცემული ინსტრუქციები და ცირკულიარები, რაც ეწინააღმდეგება სსრ-კის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დასახელებულ, 1931 წ. თებერვლის 13-ის, დადგენილებას.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილებიდან და ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“-ს 110 №-ში 1931 წ. აპრილის 22-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

82. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურულ განყოფილებათა გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურული განყოფილებანი გაუქმებულ იქნენ.

2. სახალხო განათლების და ჯამრთელობის ინსპექტორები უშუალოდ დაექვემდებარნენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 110 №-ში 1931 წ. აპრილის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

83. კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაფინანსების შესახებ.

ბინათმშენებლობის კოოპერაციის მეშვეობით ბინათმშენებლობისათვის მოსახლეობის სახსართა მობილიზაციის მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ სამუშე ბინათმშენებლობისათვის 1931 წელს დანიშნული კრედიტის განაწილების დროს მიიღონ მხედველობაში, რომ საჭიროა კოოპერატიული მშენებლობის ხვედრითი წონის გადიდება;

ბ) წინადადება მისცენ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—მაქსიმალურად გააძლიერონ საბინაო კოოპერაციის დაკრედიტება ადგილობრივი ბიუჯეტისა და საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების სახსარიდან;

გ) გამოარკვიონ ორი დეკადის ვადაზე ის კონკრეტული თანხები, რაც დასახულია კოოპერაციისათვის გადასაცემად აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისა, მრეწველობისა და ტრანსპორტის ხაზით, და აცნობონ ეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

დ) დაავალონ კომუნალურ ბანკებს—დააწესონ მიზნობრივი სესხის მიცემა საბინაო კავშირებისათვის—საწარმოო მუშაობის განსავითარებლად.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ კრედიტის გადაცემის დროს საბინაო კავშირებს გადაეცეს ხოლმე შემოზიდული საშენი მასალების სათანადო კონტინგენტები.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მისცეს სასწრაფო წესით სათანადო დირექტივები თავის ქვემდებარე სამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველო საწარმოთ — მაგსიმალურად გამოიყენონ მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის ანარიცხები კოოპერატიული მშენებლობის ხაზით.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამინაო კოოპერაციის საბჭოს ურუნველჰყოს კოოპერაციის წევრთა მასსების საკუთარ სახსართა მობილიზაცია 1931 წლისათვის გამორკვეული კოოპერატიული მშენებლობის მოცულობის შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 2.

№ 351.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

§4. სადგომებში დაწესებულებათა მომთავსებელი და ქ. ტფილისში მყოფ დაწესებულებებთან სამუშაოდ ჩამოსულ მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამომძებნი კომისიის მოწყობის შესახებ.

რადგანაც ტფილისში მყოფ დაწესებულებათა აწინდელი მდგომარეობა აუცილებელი მინიმალური სასადგომო ფართობით უზრუნველყოფის მხრით და აგრეთვე ტფილისის დაწესებულებებში სამუშაოდ ჩამოსულ მომუშავეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საქმე აუცილებლად საჭიროებს სასწრაფო და რეალური ღონისძიების მიღებას,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სადგომებში დაწესებულებათა მოსათავსებლად და ტფილისის დაწესებულებებში სამუშაოდ ჩამოსულ მომუშავეთათვის საბინაო ფართობის გამოსაძებნად—მოეწყოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გაერთიანებული კომისია შემდეგი შედგენილობით: ამბანაგნი ბაერდოვი (კომისიის თავმჯდომარე), კაკაბაძე, მელაძე, მაშკევიჩი და ლორთქიფანიძე.

2. კომისიის დადგენილებანი საბოლოოა და არ განისაჩივრება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 8.

№ 350.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 97 №-ში 1931 წ. აპრილის 9-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

85. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „რესპუბლიკანური საზომ-საწონთა პალატების გაუქმების შესახებ“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 23-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37):

ა) გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა და მისი ფუნქციები, აპარატი და ქონება გადაეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს;

ბ) ადგილობრივი საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატები რეორგანიზებულ იქნეს ადგილობრივ სასტანდარტიზაციო ბიუროებად, რომელთაც დაეკისროს მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა დაწესებული სტანდარტების განხორციელებისათვის, აგრეთვე სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოების შემოწმება.

2. დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის ახალი დებულების პროექტი.

3. გაუქმებულ იქნეს:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 25-ის დადგენილება „ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99);

ბ) ა/კსფსრ სასალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილება „ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 230);

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 20-ის დადგენილება „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტად გადარქმევის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 212);

დ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 13-ის დადგენილება „ა/კსფსრ უმაღლეს ეკომომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების“ დამატების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 231).

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 9.
№ 353.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 109 №-ში 1931 წ. აპრილის 21-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

86. „შრომით საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების" შეფარდებისათვის 1930 წ. დეკემბრის 23-ის თარიღით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქციის 26 და 37 მუხლების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „მოჯამაგირეთა და მწყემსთა და მათ დამქირავებელთა შორის აღძრულ შრომითს დავათა განხილვის წესის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 144)—„შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების შეფარდებისათვის 1930 წ. დეკემბრის 23-ის თარიღით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქციის 23 და 37 მუხლები (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 9) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„26. უკეთუ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის აღიძვრის დავა სამუშაო ხელფასის როოდენობის თაობაზე და წერილობითი შრომის ხელშეკრულება არ არსებობს ან ამ ხელშეკრულებაში ზედმიწევნით არ არის აღნიშნული სამუშაო ხელფასის როოდენობა, ამ როოდენობას განსაზღვრავს:

ა) უკეთუ დავა 25 მანეთამდეა—სასოფლო სასამართლო ან სახალხო სასამართლო მოჯამაგირის (მოჯამაგირე-ქალის) არჩევით;

ბ) უკეთუ დავა 25 მანეთზე მეტია—სახალხო სასამართლო".

„37. უკეთუ დამქირავებელი ვადის გასვლამდე მოშლის შრომის ხელშეკრულებას და დაქირავებული თანახმა არ არის ხელშეკრულების მოშლის მიზეზისა, კონფლიქტს გადასწყვეტს:

ა) უკეთუ ხელშეკრულების თანხა იმ დროისათვის, რაც დარჩენილია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, 25 მანეთზე მეტი არ არის,—სასოფლო სასამართლო ან სახალხო სასამართლო მოჯამაგირის (თუ მოჯამაგირე-ქალის) არჩევით;

ბ) ხოლო, უკეთუ თანხა 25 მანეთზე მეტია,—სახალხო სასამართლო".

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან და აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილებიდან „მოჯამაგირეთა და მეწყემსთა და მათ დამქირავებელთა შორის აღძრულ შრომის დავათა განხილვის წესის შესახებ".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 9.

№ 354.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 109 №-ში 1931 წ. აპრილის 21-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

87. **„საბჭოთა სამეცხოველეო მეურნეობების თაობაზე" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებისა და „1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილების შესრულების მსვლელობის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიამ მოისმინა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ვეზიროვისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელის ამხ. პოტერიახინისა და სრულიად საკავშირო შენაერთის „სკოტოვოდ"-ის რწმუნებულის ამხ. რუდაკოვის მოხსენებანი „საბჭოთა სამეცხოველეო მეურნეობების თაობაზე" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებისა და „1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილების (კარი VII) შესრულების მსვლელობის შესახებ და კომისია აღნიშნავს, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1930 წ. დეკემბრის 20-ისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილებების იმ ნაწილის შესრულებას, რაც სრულიად საკავშირო შენაერთის „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას ეხება—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატ და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, ამიერ-კავკასიის სამმხმარებლო კოოპერაციის კავშირი, სრულიად საკავშირო შენაერთი „სოიუზჩისოო", ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის შენაერთი და, უშუალოდ, სრულიად საკავშირო შენაერთის „სკოტოვოდ"-ის რწმუნებული მოეკიდნენ ფორმალურად, რის გამოც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ შესრულებულ არ იქნა. ამისდამიხედვით კომისია ადგენს:

1. მიიქცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ყურადღება, განსაკუთრებით კი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, მათ ყოველად შეუწყნარებელ სუსტ მუშაობაზე „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში და წინადადება მიეცეს ამბ. მათიკაშვილს, მისი პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყოს აპრილის თვის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწების მიჩენის დამთავრება. მიიქცეს სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყურადება იმ გარემოებაზე, რომ შეუწყნარებელია „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწების მიჩენა სხვადასხვა ნაკვეთებზე.

2. მიიქცეს „სკოტოვოდ"-ის ამიერკავკასიის რწმუნებულის ამხ. რუდაკოვისა და ბაშკიჩეთისა, სემიონოსკისა, იაგარსკის და ჩერმოდელის საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ყურადღება იმ გარემოებას, რომ სუსტად არის შესრულებული ნახირის დაკომპლექტების გეგმა (65%), თავის დროზე არ არის განხორციელებული საპროფილაქტიო-სავეტერინარო ღონისძიებანი და არადამაკმაყოფილებელია საბჭოთა მეურნეობებში სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის ორგანიზაცია.

3. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სექტორის ხელმძღვანელს ამხ. კალანთარს—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ზრომის სახალხო კომისარიატის ა/წ. მარტის 8-ის დირექტივების შეუსრულებლობისათვის—სომხეთის საბჭოთა მეურნეობის „სკოტოვოდ"-ის სავეტერინარო პერსონალით დაკომპლექტების თაობაზე.

4. გამოეცხადოს საყვედური ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. კოლესნიკოვს ამ საბჭოთა მეურნეობაში სავეტერინარო საქმის არადამაკმაყოფილებელად დაყენებისათვის, რამაც გამოიწვია სანაშენო პირუტყვის გაწყვეტომა. მიეცდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გამოარკვიონ კონკრეტული დამნაშავენი, რომელთა მიზეზითაც ამ საბჭოთა მეურნეობაში გაჩნდა საქონლის პირი და გაწყდა საქონელი, და მისცენ ისინი პასუხისგებაში.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაანაწილოს ამხ. რუდაკოვთან ერთად („სკოტოვოდ"-ის რწმუნებული), ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკადის ვადაზე, არსებული საეტერინარო პერსონალი ისეთი ვარაუდით, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა „სკოტოვოდ"-ი უზრუნველყოფილ იქნეს ამ პერსონალით.

6. წინადადება მიეცეს ამერიკაკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის შენაერთის გამგეს ამხ. პრეობრაჟენსკის—მოხსნას სამუშაოდან ლორისის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოთა მწარმოებელი რუდომეტკინი უმოქმედობისათვის და ამ საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის პირველი კვარტალის გეგმის შეუსრულებლობისათვის.

7. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—სასწრაფოდ გამოიკვლიოს ლორისის საბჭოთა მეურნეობაში 1930 წელს „არმსტროო"-ის არადამაკმაყოფილებელი მშენებლობის ფაქტები და ამ გამოკვლევის მასალები გადასცეს პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად სასამართლო წესით.

8. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ამხ. ბრომიკერს და „სკოტოვოდ"-ის ამერიკაკავკასიის რწმუნებულს ამხ. რუდაკოვს მოახდინონ ორი დეკადის ვადაზე „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით დაკომპლექტება.

9. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააკისრონ იმ რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც საბჭოთა მეურნეობებია, სისტემატიური თვალყურისდევნება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მსვლელობისათვის, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება და მოისმინონ ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოების სხდომებზე სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებანი საბჭოთა მეურნეობების „სკოტოვოდ"-ის მშენებლობაში მათი მონაწილეობის შესახებ.

10. სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბჭოთა მეურნეობების „სკოტოვოდ"-ისათვის ყარაქლისის ცხენთსამომშენებლოს გადაცემის დაყოვნების საკითხი გადაეცეს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აპრილის 11.
№ 4.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსშარ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

88. „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსების ინვენტარიზაციის შესახებ“ ა/კსშარ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 7-ისა და 1931 წ. იანვრის 10-ის დადგენილებების შესრულების მსვლელობის თაობაზე.

მოისმინა-რა სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორის მმართველის ამხ. ლაქტიონოვის მოხსენება, ა/კსშარ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ სარაიონო სასოფლო ბანკების ბალანსების ინვენტარიზაცია ა/წ. აპრილის 1-თვის შესრულებულია: სომხეთში მთელი ქსელიდან 26 სარაიონო სასოფლო-სამ. ბანკის მიერ, საქართველოში—34 სარაიონო სასოფლო-სამ. ბანკის მიერ (საერთო რიცხვით 60 ბანკიდან) და აზერბაიჯანში—19 სარაიონო სას.-სამ. ბანკის მიერ (საერთო რიცხვით 59 ბანკიდან).

2. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსების ინვენტარიზაციისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობა აზერბაიჯანში აღიარებულ იქნეს მეტისმეტად შეფერხებულად, რაც საფრთხეს უმზადებს სოფლის მეურნეობის თავის დროზე და წესიერად დაფინანსებას იმ საფუძვლებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 14-ის დადგნილებით „საკრედიტო რეფორმის პრაქტიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და 1931 წ. მარტის 20-ის დადგენილებით „დაკრედიტების სისტემის ცვლილებათა, საკრედიტო მუშაობის განმტკიცებისა და ყველა სამეურნეო ორგანოში სამეურნეო ანგარიშის უზრუნველყოფის შესახებ“.

3. აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით—წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას:

ა) წარმოადგინოს მომდინარე წლის აპრილის 25-მდე ამომწურავი მასალა სომხეთში საკავშირო საკოლმეურნეო ბანკის ყოფილი სასომხეთო განყოფილებისა და სომხეთის ყოფილი სარაიონო სას.-სამ. ბანკების ბალანსების ინვენტარიზაციისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ;

ამავდროულად უზრუნველჰყოს სომხეთის ყოფილი სარაიონო სას.-სამ. ბანკების ინდივიდუალური მსესხებელთა დავალიანების კოლმეურნეობებზე და სადასახლეულო ამხანაგობებზე გადაფორმირების დამთავრება ა/წ. მაისის 1-დე;

ბ) უზრუნველჰყოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსის ინვენტარიზაციის სრული დამთავრება ა/წ. აპრილის 25-დე და ამ მუშაობის შედეგების ამომწურავი მასალა წარმოადგინოს მაისის 10-დე;

გ) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საკავშირო საკოლმეურნეო ბანკის ყოფილი სააზერბაიჯანო განყოფილებისა და აზერბაიჯანის სარაიონო სასოფლო-სამეურნეო ბანკების ბალანსის ინვენტარიზაციის დაჩქარებას, რის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაც გააძლიეროს საკავშირო საკოლმეურნეო ბანკის აზერბაიჯანის კონტორის აპარატი ამიერკავკასიის კონტორის კვალიფიციური მოშუშავეებით; აღნიშნული სამუშაოების დამთავრების ვადად დადგენილ იქნეს მაისის 1-ლი;

დ) დაამთავროს მაისის 1-დე სახელმწიფო ბანკის განყოფილების ბალანსის დაყოფა საქართველოს სსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ-ში ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით;

ე) წარმოადგინოს მაისის 20-თვის მოხსენება მთლად ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსის ინვენტარიზაციის დამთავრების შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სადარგო სისტემის ცენტრსა და ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს მისცენ პასუხისგებაში კოლექტიურ მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების ის ხელმძღვანელობანი, რომელნიც დაუსაბუთებელი მოტივების მიხედვით, არ ასრულებენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 12 დადგენილებას—მათზე ყოფილი სარაიონო სასოფლო-სამეურნეო ბანკების ინდივიდუალურ მსესხებელთა დავალიანების გადაფორმირების შესახებ—და რომელნიც ხელს არ აწერენ იმ ფასიულობათა ვალდებულებებს, რაც მათ 1930 წ. მიიღეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათაგან მიღება-ჩაბარების აქტებით.

უკეთუ დასახელებული ორგანიზაციები არ შეასრულებენ აღნიშნულ დადგენილებას ა/წ. აპრილის 25-დე, სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა მიიღოს მათ მიმართ ფინანსიური ხასიათის ზედმოქმედების ღონისძიებანი.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ ზემოაღნიშნული ვადებისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დაწესებულებათა ბალანსების ინვენტარიზაციისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტერ-ეგიაზარიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აპრილის 11.

№ 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 106 №-ში 1931 წ. აპრილის 18-ს.

-270

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

89. „ქალაქების საგარეთუბნო მეურნეობათა საბოსტნე თესლის შესახები“ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივების შესრულების თაობაზე.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ამხ. ვეზიროვის მოხსენება „ქალაქების საგარეთუბნო მეურნეობათა საბოსტნე თესლის შესახები „სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივების შესრულების თაობამე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს.

1. გამოეცხადოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. მამალაძეს საყვედური—ა/კსფსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ დამზადებული ზედმეტი თესლეულის სხვა რესპუბლიკების საჭიროებათა დასაკმაყოფილებად გადაგზავნის შესახები სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივის აღსრულების დაყოვნებისათვის.

2. დაეკალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივის სასწრაფო აღსრულება და ყოველ დღე აცნობოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას, როგორ მიმდინარეობს ამ დირექტივის აღსრულება.

3. აღსრულების შემმოწმებელი კომისია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში არ არსებობს ა/კსფსრ სათესლე რესსურსების ზედმეწევნითი აღნუსხვა, რომ შემცირებულია მთავრობის პირვანდელი დაკალენი საბოსტნე თესლეულის დამზადების შესახებ და რომ თესლეულის დამზადების საქმე თვითდენაზეა მინებებული.

დაეკალოს ამხ. ვეზიროვს სასწრაფოდ დააწესოს სათესლეულო რესურსების ზედმიწევნითი აღნუსხვა.

4. ყოველად შეუწყნარებელ მოვლენად იქნეს აღიარებული სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის მოპყრობა თესლეულის დამზადების საქმისადმი, რაზედაც აღსრულების შემმოწმებელი კომისია მიაქცევს ამერიკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის გამგეობის ყურადღებას.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ რესპუბლიკებში თესლეულის დამზადების მსვლელობა.

6. თესლეულის დამზადების თვიური განგრძობილ იქნეს მაისის 1-დე.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ტრე-ეგიაზარიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აპრილის 11.

№ 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 105 №-ში 1931 წ. აპრილის 17.

მთავლ. № 1141. საქართველოს საბჭომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400